დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები საჯარო სექტორში: მსოფლიო პრაქტიკა და საქართველო

ნინო თუშურაშვილი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი,
საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება,
სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე
(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია არჩეული ქვეყნების (აშშ, გაერთიანებული სამეფო, ავსტრია, ისრაელი, საფრანგეთი, შვედეთი, პოლონეთი, კორეა, გერმანია, თურქეთი) პრაქტიკის ფონზე საქართველოს საჯარო სამსახურში არსებული მდგომარეობის ანალიზის წარმოდგენა დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების კუთხით, რისთვისაც ჩემს მიერ გამოყენებულ იქნა, როგორც ხელმისაწვდომი მზა ელექტრონული ინფორმაცია (წიგნები, პუბლიკაციები, ანგარიშები, კანონმდებლობა, ოფიციალური სტატისტიკები და კვლევები) საზღვარგარეთის ქვეყნების და საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემებზე და დასაქმების თანაბარ შესაძლებობებზე, ასევე ჩემს მიერ ჩატარებულ იქნა მცირე კვლევა საქართველოში გარკვეული ნიშნით (შეზღუდული შესაძლებლობების, ეროვნული ნიშნით, სქესის, ასაკის გამო) დისკრიმინაციის და არათანაბარი შრომითი უფლებების არსებობის შესახებ, რისი ანალიზის საფუძველზეც ვეცადე წინა პლანზე წამომეწია არსებული პრობლემები, რომელიც ხელს უშლის თანასწორობის უზრუნველყოფას საქართველოს საჯარო სექტორში და არჩეული ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით ნაშრომში წარმომედგინა კონკრეტული მიმართულებებით საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ჩემეული ხედვა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, დისკრიმინაცია, საჯარო სამსახურის სისტემები, მრავალფეროვანი ადამიანური რესურსები

გამოყენებული კვლევის მეთოდები

აღნიშნული ნაშრომი ეფუძნება, როგორც ელექტრონულად განთავსებულ ხელმისაწვდომ მზა ინფორმაციას, ასევე, ჩემს მიერ ჩატარებული მცირე კვლევის შედეგებს. კერძოდ, კვლევისათვის აუცილებელი შედარებითი ანალიზისათვის ჩემს მიერ მოძიებულ იქნა საჭირო ლიტერატურა (წიგნები, კვლევები, ოფიციალური ანგარიშები), ასევე გავეცანი საერთაშორისო ორგანიზაციების და კონკრეტული ქვეყნების სამთავრობო პორტალებზე ოფიციალურ სტატისტიკებს და კანონმდებლობას , ასევე სხვა საჭირო ინფორმაციას. რაც შეეხება ჩემს მიერ ჩატარებულ მცირე კვლევას, ელექტრონული სამთავრობო პორტალის my.gov.ge–ის მეშვეობით ჩემს მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია პორტალზე რეგისტრირებული საჯარო დაწესებულებებიდან, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებით გავესაუბრე შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოში პასუხისმგებელ პირებს და გავეცანი ზემოხსენებული უწყებების ელექტრონულ რესურსებზე პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციას.